პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ოთხშაბათი
30
ივლისი
№ 177
(16303)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ხუთწლედის მოწინავენი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

მომავლის მტკიცე საფუძველი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სოციალისტური შეჯიბრების მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველი ნახევრის შედეგები, რომლებიც წარმოადგინეს საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ.

მილებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ შრომელებმა წარმატებით შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრისა და 1975 წლის აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებებით, აღფრთოვანებული არიან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით, პრაქტიკულად ახორციელებენ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში მოცემულ ამოცანებს, — ფართოდ იყენებენ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საჭირო რეზერვებს, იღვწიან პროდუქციის გამოშვების სისტემატური ზრდისათვის, ამცარებენ მისი დამზადების დანახარჯებს, რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები ახალ, გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ სკკპ XXV კრების აღსანიშნავად.

წარმატებით შესრულეს გეგმა და ვალდებულებანი აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის: ქალაქების ბიათურის, ჭუთაისის, ოზურგეთის, გორის, ცხინვალის, ბათუმის, ამბროლაურის, დმანისის, ბოგდანოვკის, თეთრი წყაროს, ლანჩხუთის, წულუკიძის, მახარაძის, გარდაბნის, მარნეულისა და სხვა რაიონების მშრომელებმა.

თავიანთი ვალდებულებანი შეასრულეს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის, საავტომობილო გზების, დამზადების, სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროთა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს კოლექტივებმაც.

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა, ცხინვალის კომბინატი, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ჭუთაისის ლითოფონის ქარხანა და საავტომობილო ქარხანა, ბათუმის, მანქანათსამშენებლო ქარხანა ვანეკუთვნებიან ამ კოლექტივებს, რომლებმაც წარმატებით დამამთავრეს 1975 წლის პირველი ნახევარი.

მუშაობა გაუმჯობესის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობა. ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქართველოს სამინისტროთა კოლექტივებმა.

ამასთან, 1975 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში იყო მთელი რიგი ნაკლოვანებები. რეალიზაციის თანვარ-ივნისის გეგმა ვერ შეასრულეს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და მშენებლობის სამინისტრომ.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი შეანელეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებმა.

საიჯარო სამუშაოთა მოცულობის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი ვერ შეასრულეს ქალაქების ქუთაისის, ბათუმის, გორის, ცხინვალის. ტყიბულის, წითელწყაროს, წალკის, თეთრი წყაროს, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, გულრიფშისა და სხვა რაიონების სამშენებლო ორგანიზაციებმა.

ვაჭრობის სამინისტრომ მთლიანად გაანაკრძალა მუშაობა, მაგრამ ვერ შეძლო ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მოსახლეობის საქონლით მომარაგებაში.

დუშეთისა და თიანეთის რაიონებმა ვერ შეასრულეს ჰექტოლიტრი და ფრინველის შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა ზეგეგმითი დავალებითურთ. კვერცხის შესყიდვის გეგმა ვერ შეასრულეს ახალციხის, ხაშურის, ხობის, წყალტუბოს. ცხინვალის, სამტრედიის რაიონებმა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ. მატყლის შესყიდვის გეგმა არ შეესრულებიათ ხაშურის, თელავის, მცხეთის, გურჯაანის, წითელწყაროს რაიონებსა და ჭიათურის საქალაქო საბჭოს.

მილებულ დადგენილებაში დასახელებული არიან რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების 1975 წლის პირველი ნახევრის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.	სასოფლო მშენებლობის სამინისტრო
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო.	ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო.
საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო.	საავტომობილო გზების სამინისტრო.
საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.	სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო.	საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო.
საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო.	მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო.
საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო — „საქსოფლტექნიკა".	დამზადების სამინისტრო.
საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო.	გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო.
საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო— საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო.	საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო.
ცეკავშირი — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.	ვაჭრობის სამინისტრო.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.	სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამოქალაქო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო „საქმთავარმონტაჟსპეცმშენი" — „საქმიდროენერგომშენის" ტრესტი.	„საქმთავარმონტაჟსპეცმშენი".

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:	ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:

ასს რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი

აფხაზეთის ასსრ — აჭარის ასსრ —	აჭარის ასსრ	აფხაზეთის ასსრ — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი —	სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:	ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:

ქ ა ლ ა ქ ე ბ ი

ბათუმი— სოხუმი —	ბათუმი	სოხუმი — ცხინვალი —	ცხინვალი
გორი — ცხინვალი —	გორი	ტყვარჩელი — ტყიბული —	ტყვარჩელი
ზუგდიდი — ფოთი —	ზუგდიდი	ტყიბული — ჭიათურა —	ჭიათურა
ქუთაისი — რუსთავი —	ქუთაისი		

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:	ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:

რ ა ი ო ნ ე ბ ი

აბაშის — წითელწყაროს —	აბაშის	წალენჯიხის — დმანისის —	დმანისის
ადიგენის — ასპინძის —	ადიგენის	წულუკიძის — წყალტუბოს —	წყალტუბოს
ამბროლაურის — ონის —	ონის	ცხინვალის — ზნაურის —	ზნაურის
ახალქალაქის — ბოგდანოვკის —	ბოგდანოვკის	ჩოხატაურის — ლანჩხუთის —	ლანჩხუთის
		გორის — თელავის —	თელავის
ახალციხის — ხაშურის —	ხაშურის	გუდაუთის — ცხაკაიას —	გუდაუთის
ახმეტის — ყაჯრის —	ახმეტის	გულრიფშის — სოხუმის —	სოხუმის
ბოლნისის — დმანისის —	დმანისის	გურჯაანის — თელავის —	გურჯაანის
ბორჯომის — წყალტუბოს —	წყალტუბოს	ჯავის — ლენინგორის —	ლენინგორის
ვანის — თერჯოლის —	თერჯოლის	დუშეთის — თეთრი წყაროს —	თეთრი წყაროს
ქალაქ გაგრის ზონა —	გუდაუთის		
		ზესტაფონის — სამტრედიის —	სამტრედიის
		ზნაურის — ქარელის —	ქარელის
		ზუგდიდის — მახარაძის —	მახარაძის
		ყაზბეგის — ლენინგორის —	ლენინგორის
		კასპის — მცხეთის —	მცხეთის
		ქედის — შუახევის —	ქედის
		ქობულეთის — ხელვაჩაურის —	ქობულეთის
		ლაგოდეხის — მარნეულის —	მარნეულის
		ლენტეხის — მესტიის —	ლენტეხის
		წალენჯიხის — გალის —	

□

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს რწმენა, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა კოლექტივები, პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები ყოველმხრივ გააანალიზებენ წლის პირველ ნახევარში ჩამორჩენის მიზეზებს და შინაგანი რეზერვების ეფექტიანი გამოყენების გზით ოპერატიულად გამოასწორებენ მდგომარეობას. პარტიულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გააქტიურონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მშრომელთა აქტივობის შემდგომი აღმავლობისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების განვითარებისათვის ბრძოლაში, ყოველმხრივ განამტკიცონ და გაამრავლონ მიღწეული შედეგები.(საქინფორმი).

წარმატებას უსურვებენ

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე ჰელსინკში მიმავალი სსრ კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით მოკლე ხნით შეჩერდა ლენინგრადის მახლობლად. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს, დელეგაციის სხვა წევრებს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. რომანოვი, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ი. არიტოვი, ლენინგრადისა და მისი ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

ლენინგრადელ ამხანაგებთან საუბრის მწველლობაში ლ. ი. ბრეჟნევს აინტერესებდა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულების, სამრეწველო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის პროგრამის განხორციელებისა და ეკონომიური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულებისათვის.

ამხ. ვ. ვ. რომანოვმა უამბო, როგორ აჩაღებენ ლენინგრადისა და მისი ოლქის მშრომელნი სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ მომავალი XXV ყრილობის აღსანიშნავად. მან ხაზი გაუსვა, რომ ლენინგრადელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ერთსულოვნად და მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის საქმიანობას.

ლენინგრადელთა სახელით ამხ. გ. ვ. რომანოვმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე მიმავალი სსრ კავშირის დელეგაციის წევრებს უსურვა ნაყოფიერი მუშაობა და დიდი წარმატებები ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში.

მატარებელი, რომლითაც საბჭოთა დელეგაცია მიდის, შეჩერდა იგრეთვე ქალაქ ვიბორგში. ვაგზალზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევსა და საბჭოთა დელეგაციის წევრებს გულითადად მიესალმნენ ქალაქის მშრომელნი. მათ ლ. ი. ბრეჟნევს უსურვეს კეთილი მგზავრობა და მშვიდობის კეთილმობილური მისიის წარმატებით შესრულება.

პიონერებმა ლ. ი. ბრეჟნევს, დელეგაციის წევრებს ყვავილების თაიგულები მიართვეს. (საკ-დესი).

საბჭოთა კავშირის დელეგაცია ჰელსინკში ჩავიდა

ჰელსინკი. 29 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ფინეთის დედაქალაქში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითს ეტაპში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია.

დელეგაციის მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო (დელეგაციის მეთაურის მოადგილე), სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალიოვი.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, საკავშირო გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ნ. ზემსკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები გ. მ. კორნიენკო, ა. პ. ბონდარენკო და სხვა ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირისა და ფინეთის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვაგზალზე ლ. ი. ბრეჟნევს, დელეგაციის წევრებს დახვდნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურპო კეკონენი, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ო. მატილა, სხვა ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარზე ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ დ. ჰელსინკამდე ჩამოცილებულ ფინეთის პრემიერ-მინისტრმა კ. ალიინმაამ, სსრ კავშირის ელჩმა ფინეთში ვ. ს. სტეპანოვმა და ფინეთის ელჩმა სსრ კავშირში ი. ჰალამამ.

ვაგზალში დამხვდურთა შორის იყვნენ სოციალისტური ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

ლ. ი. ბრეჟნევს გულთბილად მიესალმნენ ჰელსინკში საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები. ბაკშევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს მიართვეს წითელი მიხაკის თაიგულები.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კეკონენმა ლ. ი. ბრეჟნევი ჩამოსვლასთანავე მიიწვია სამკუთარ სტუმრების სალონში, სადაც მოკლე საუბარი გაიმართა.

ვაგზლის შენობის წინ მდებარე მოედანზე და მთელ გზაზე რეზიდენციამდე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს ესალმებოდნენ ფინეთის დედაქალაქის მცხოვრებნი.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითს ეტაპში მონაწილეობისათვის 29 ივლისს ჰელსინკში ჩავიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

სურათზე: შეხვედრა ვაგზალში.

საკდესი — საქინფორმის ტელეფოტო.

6 თვის დასასრულ ნაკისრი ვალდებულებანი ასრულებენ ... ფაბრიკის ... ფაბრიკის ... ...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ვაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც განიხილეს საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისა და სოფლქო, რაიონული, საქალაქო, ხალაფლო და სადაბო საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ.

აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა ახალი ძალთა ცხადყო საბჭოთა დემოკრატიის გამარჯვება, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ერთგულება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა, დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა 99,99 პროცენტმა.

მიმდინარე წლის 20 ივნისიდან 1 ივლისამდე რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ჩამართა მშრომელთა დეპუტატების მეოთუთმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები, რომლებიც ყველგან მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარდა.

წინა მოწვევასთან შედარებით გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების ამასრულებელი კომიტეტების წევრთა შემადგენლობა განათლების მიხედვით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პირველ სესიებზე შეიქმნა სასაღო მეურნეობის სხვადასხვა დარგის 6755 მუდმივი კომისია, რომლებშიც არჩეულია დეპუტატთა მთელი შემადგენლობის 82,5 პროცენტი.

პირველ სესიებზე, ორგანიზაციული საკითხების გარდა განიხილეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა აქტუალური საკითხი. საბჭოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა განიხილა და დამტკიცა ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

თავიანთ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ კანონებით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიდრონიდელი დადგენილებებით.

საბჭოების, მუდმივი კომისიებისა და აღმასკომების, დეპუტატთა ჯგუფებისა და მუდმივი კომისიების საქმიანობა განაწესების შესრულების ორგანიზაციის საქმეში. მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები ამომრჩეველთა წინაშე სისტემატურად გამოდიოდნენ ანგარიშებით განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, უფრო მეტად გამოიყენონ შკითხვის წესით სესიებზე საკითხის დაყენების უფლება,

საჭირო დახმარება გაუწიონ საბჭოების დეპუტატებს მათს მოვალეობათა შესრულებაში. აქტიურად ჩაბან მუდმივი კომისიები საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში, სესიებსა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვასა და საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

საბჭოების მუშაობაში მეტად დანერგონ საჯაროობის პრინციპი, მიაღწიონ იმას, რომ აღმასრულებელი კომიტეტები, მათი განყოფილებები და სამმართველოები რეგულარულად ანგარიშს მოსახლეობას თავიანთი მუშაობის შესახებ, ამასთან უზრუნველყონ ამომრჩეველებთან შეხვედრის დროს წამოყენებულ საქმიან წინადადებათა განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაკთა სწავლების საქმეს, მათი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის ამაღლებას.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესახებ.

აღინიშნა, რომ ამომრჩეველთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრები გაიმართა მასების დიდი ორგანიზებულობისა და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და სასალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა მობილიზაციის ნიშნით.

დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრის დროს ამომრჩეველები ხაზს უსვამდნენ იმ დიდ ზრუნვას, რომელსაც პარტია და მთავრობა, პირადად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი იჩენენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, სხვადასხვა ქვეყნებს შორის დაძაბულობის შენელებისა და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. ამომრჩეველები ამაყობდნენ ამ ფაქტით, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა ატარებს რესპუბლიკაში ეკონომიური ჩამორჩენის დაძლევისათვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის, სახელმწიფო დოვლათის დამტკიცებელთა, სპეკულანტთა, მეჩქთამეთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს წინაშე დაყენებული საკითხების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები, განსაკუთრებთ მოსახლეობის სავაჭრო, სამეფიცინო, საყოფაცხოვრებო და კომუნალურ მომსახურებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა

ყველაზე ადრეული

ARAGVIS SIKETE

ᲥᲘᲜᲕᲐᲚᲯᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲕᲔᲑᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲛᲔᲚ ᲬᲧᲐᲚᲡ

200 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

— **ᲘᲪᲘᲝᲓᲔᲗ**, არც ერთი ძირი სიმინდი არ დატოვოთ მოუგლეველი, სამარცვლედ და სასილოსედ გათვალისწინებული მთელი ფართობი, სადაც კი წყალი უდგება, კარგად უნდა მორწყათ. გვალვამ ნაწილობრივ დაგვიზიანა ნათესები და დანაკლისის შესავსებად მთელი იმედები ახლა იმ საზოგადოებრივ მეურნეობებზეა დამყარებული, რომლებსაც რწყვის საშუალება აქვთ, რამდენი მოირწყო გუშინ და წუხელის?

სწორედ იმ მომენტში მივესწარით პარტიის ყვარლის რაიკომის პირველ მდივანს გ. ძულიაშვილს, როცა ის სოფელ შილდის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რ. კანტარიშვილს ესაუბრებოდა.

ახლა რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელი ინსპექტორებისა და ბრიგადირების ერთ ჯგუფს ამოწმებდა, ეკითხებოდა, ეუბნებოდა, ეკამათებოდა, ეკამათებოდა, ეკამათ

მსოფლიო დღეს

მთელი კაცობრიობის მიღწევა

საერთაშორისო საზოგადოებრიობა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი დიდ ყურადღებას უთმობენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მესამე, დასკვნით ეტაპს, რომელიც 30 ივლისს იწყება ჰელსინკში. უდიდესი კმაყოფილებით აღიქვეს საზღვარგარეთ ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციას თათბირზე მეთაურობს ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი — ხელმძღვანელი, რომელმაც დიდი პირადი წვლილი შეიტანა მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებაში. ბევრ კომენტარში განსაკუთრებით უსვამენ ხაზს, რომ სრულიად ევროპის თათბირის წარმატება — ეს არის ევროპის სახელმწიფოების საერთო წარმატება, ევროპისა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების წარმატება.

ვარშავა. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი — ეს არის პირველი და დღემდე ერთადერთი ცდა შეექმნათ ისეთი მასშტაბით უშიშროების სისტემა, რომელსაც საფუძველად დაედება ყველა დაინტერესებული მხარის თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა, წერს გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“.

პრაღა. საუკუნის კონფერენციას უწოდებს ჩეხოსლოვაკიის პრესა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითს ეტაპს.

„რუდე პრავო“ ხაზს უსვამს, რომ თათბირი, განსაკუთრებით მისი დასკვნითი ეტაპი“ ქმმარიტად ისტორიული მოვლენაა“ და „შეუძლია პოზიტიური გაკვლევა მოახდინოს ევროპაში ურთიერთობაზე მრავალი წლის განმავლობაში“.

ბერლინი. როგორც ხაზს უსვამს გაზეთი „ნოიე

უკანასკნელი სტარტები, ფინიშები

ასპარეზობენ მძლეოსნები

ღღეს ლუჟნიკში ფინიში ექნება მძლეოსანთა ტურნირს, განაწილდება მედლების უკანასკნელი კომპლექტები, გამოირკვევა არა მარტო სპორტის ამ სახეობაში ამა თუ იმ გუნდის მიერ შეგროვილი ქულების რაოდენობა, არამედ შეჯამდება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე მოძმე რესპუბლიკათა და მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენთა კოლექტივების ოთხ თვეზე მეტი ხნის ბრძოლის შედეგები.

სპრინტერთა ასპარეზობა. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში ოქროს მედალი დაიმსახურა მოსკოველმა ლ. მასლაკოვამ. მან დისტანცია გაიირბინა 11.3 წამში, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია. ამავე სახეობაში ვაჟთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯამაირჯა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ბორზოვმა (უკრაინა) — 10,2 წამი. მას ერთი მეათედი წამით ჩამორჩა მოსკოველი ა. კორნელიუკი. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ჩვენი რესპუბლიკის სპრინტერები უძლიერესთა რიგებში ვერ მოხვდნენ.

სიგრძეზე ხტომა ქალთათვის. აქ მაღალი შედეგი აჩვენა ლ. ალფეევამ. იგი გადახტა 6 მეტრსა და 67 სანტიმეტრზე და ჩემპიონობა მოიპოვა.

თარჯრბენში ვაჟთათვის 110 მეტრზე ყველას აჯობა ბელორუსიის მძლეოსანმა ვ. მოსნიკოვმა. დრო — 13.6 წამი. ეს შედეგიც სპარტაკიადის უმაღლესი მიღწევაა. საქართველოს მძლეოსანი ა. მოშიაშვილი მეხუთე იყო.

სიმაღლეზე ხტომა ვაჟებისათვის. 2 მეტრი და 21 სანტიმეტრი — ასეთი იყო ა. გრიგორიევის (ბელორუსია) შედეგი. მან ოქროს მედალი დაიმსახურა. ხუთის ტყორცნაში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ბელორუსიის მძლეოსანი ნ. გრიგნევი. შედეგი — 83 მეტრი და 28 სანტიმეტრი.

სპორტული სიარულში 50 კილომეტრზე ჩემპიონი გახდა ვ. სოლდატენკო (ყაზახეთი). დრო — 3 საათი, 58 წუთი და 54.8 წამი.

ეროს ტყორცნაში ვაჟთათვის, სადაც გარკვეულ იმედებს ვამყარებდით ჯ. ფხაკაძეზე, იგი მხოლოდ მეთექვსმეტე იყო.

საქართველოს გუნდი — მეხუთე

მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში. ალმა-ათაში, კიშინიოვსა და დუშანბეში ამოიწურა შეჯვედრები მოტომრავალჭიდში, „ველიებზე ნადირობასა“ და მოტოკროსში, რადიოგრამების ჩქაროსნულ მიღებასა და გადაცემაში.

საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. შპანგბრიძემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ამ 24 სახეობიდან, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების წარმომადგენლები გამოდიან, ოთხს უკვე ფინიში ჰქონდა. აი როგორია საერთო გუნდური მაჩვენებლები: ლიდერია რსფსრ-ის გუნდი, რომელსაც 98 ქულა აქვს. ბელორუსიის ნაკრები 74 ქულით მეორე ადგილზე იმყოფება. უკრაინელებს მისამე ადგილი უჭირავთ — 72 ქულა, მეოთხე ადგილზეა მოსკოვი — 68 ქულა, მეხუთეზე — საქართველო — 60 ქულა, მეექვსეზე — ყაზახეთი — 52 ქულა.

აი საქართველოს სპორტსმენთა შედეგები:

რადიოგრამების ჩქაროსნულ მიღება-გადაცემაში (დუშანბე) მ. სადიუქმა მეხუთე ადგილი დაიკავა, მისი შვილი — ვ. სადიუკი მეექვსე იყო. კიშინიოვში „ველიებზე ნადირობაში“ თ. კაკენსკიმ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო ჭაბუკთა შორის ნ. მარჩენკო მეექვსე იყო. ალმა-ათაში მოტომრავალჭიდში საქართველოს სპორტსმენმა მესამე პრიზიორები გახდნენ.

ფეხბურთი

მონრეალის საგზურისათვის

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები ღღეს რიგაკავიკში ისლანდიის ნაკრებთან ჩაატარებს შესარჩევ თამაშს მონრეალის 1976 წლის ოლიმპიადის საგზურისათვის.

— ამ ასპარეზობის მორიგი ეტაპისათვის, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა კ. ბესკოვმა,— სსრ კავშირის ნაკრებში ეთამაშებოდნენ მეკარეები პროხოროვი და ასტაპოვსკი, მცველები ტროშკინი, უტკინი, ოსიანინი, ზვიადგინცევი, ნიკულინი და ბუკეევსკი, ნახევარმცველები ლოგინოვი, ბურიაკი, მინაკოვი, მაქსიმენკოვი და გლადილინი, თავდასხმელები ჩესნოკოვი, მ. მაჩაიძე, ყიფიანი და ხაძიპანაგისა.

ჩვენს ნაკრებთან ერთად ქვეჯგუფში ისლანდიის გუნდის გარდა გამოდიან ნორვეგიელები.

საბჭოთა ნაკრები ითამაშებს აგვისტოს 28 აგვისტოს ოსლოში ნორვეგიელ ფეხბურთელებთან. 10 და 24 სექტემბერს შესაბამისად საბჭოთა გუნდი ორივე ქვაყნის ნაკრებებს მოსკოვში საკუთარ მოედანზე შეხვდება.

მეტოქენი დაკასკნელნი

როგორც საკდესის კორესპონდენტს განუცხადეს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ჰოკეის განყოფილებაში, ორი საბჭოთა გუნდის მეტოქენი ჩრდილოეთ ამერიკაში მათი დეკემბერ-იანვრის ტურნეს დროს იქნებიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ჰოკეისტთა ეროვნული ლიგის პროფესიონალური კლუბების ყველაზე ძლიერი და ცნობილი გუნდები. კერძოდ, ორი უკანასკნელი სეზონის სტენლის თასის მფლობელი „ფილადელფია ფლაიერსი“, ამ ტურნირის ფინალისტი „ბუფალო საბრესი“, აგრეთვე „ბოსტონ ბრიუინსი“, „მონრეალ კანადიენსი“, „ჩიკაგო ბლეკ ჰოუქსი“, „ნიუ-იორკ რანინჯერსი“, „ნიუ-იორკ ისლანდერსი“ და „პიტსბურგ პინგვინზი“. ყოველი ჩვენი გუნდი შეხვდება ოთხ-ოთხი კლუბის ჰოკეისტებს. (საკდესის კორ.).

შემთხვევა

ენგურთან ჭიდილში

თოვლის სწრაფმა დნობამ და კოკისპირულმა წვიმებმა იმ დღეებში ჩვეულებრივზე მეტად აადიდა ენგური. მდინარეს სიმაღლეებმა შეუქმნა ენგურჰესის მშენებლობის ოპერაციებს ქვასამსხვრევ-დამხარისხებელი ფაბრიკის სატუმბავ დანადგარებს, რომლებიც მოტივტივე დიდრონ ბალონებზეა დამონტაჟებული. მოსალოდნელი იყო სატუმბავების მისაბმელი ბაგირების გაწყვეტა. ფაბრიკის დირექტორმა მ. კაკაშვილმა და მექანიკოსმა დ. ხეიჩიამ ეს დროზე შეამჩნიეს.

მუშა-მოსამსახურეთა დიდი ჯგუფი დაუყოვნებლივ შეუდგა გამაძლიერებელი ბაგირების ჩაბმას. მათ მამაცურად შეუტიეს აბობოქრებულ მდინარეს და როგორც იქნა დაამაგრეს ახალი ბაგირები. საღამოსათვის ადიდებული მდინარის ტალღებმა გაწყვიტეს ძველი ბაგირი, რომლითაც წლების განმავლობაში დამაგრებული იყო სატუმბავი დანადგარები, მაგრამ ისინი ახალმა ბაგირებმა აღარ გაატანეს წყალს. გადარჩა ათასობით მანეთის სახელმწიფო ქონება, თავიდან იქნა აცილებული ფაბრიკის გაჩერება, რომლის მწყობრში ჩადგომას თვეზე მეტი დასჭირდებოდა.

ია. ბამსახურდია.

მოკლედ

ჰიდალგა. მონრეალში გაიმართა წონასაოლიმპიადო ტურნირი ძიუ-დოში, რომელშიც 15 ქვეყნის 85 სპორტსმენი გამოვიდა. ძმიმე წონის ფინალში ერთმანეთს შეხვდა ორი საბჭოთა ფალავანი — სერგეი ნოვიკოვი და ჯაბილო ნიკარაძე. გაიმარჯვა ს. ნოვიკოვმა. ქვესაფეალო წონითს კატეგორიაში საბჭოთა ათლეტი ვ. ნეგზოროვი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ იაპონელი ძიუ-დოისტები.

ფეხბურთი. ციურიხში გაიმართა ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატის — უეფა-ს ტურნირის ჯგუფების წილისყრა. საბჭოთა გუნდი პირველ მატჩში (ორი თამაში — საკუთარ და მეტოქის მოედანზე) შეხვდება გდრ-ის თანატოლებს, ირლანდია — პოლანდიას, შოტლანდია — ჩრდილოეთ ირლანდიას, პოლონეთი — დანიას. გამარჯვებულები შეადგენენ მეოთხე ჯგუფს.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. გ. ლ. ქობლიანიძე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველ მოადგილედ;

ამხ. ჯ. ა. ჩარკვიანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატეყო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გათავისუფლა ამხ. დ. ლ. გელაშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სამეცნიერო სამუშაოზე გადასვლის გამო.

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.



საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1975-76 სასწავლო წლისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში შემდეგ სპეციალობებზე:

I. ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა - მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით. საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

II. ანიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა; საბუღალტრო (რუსულ ენაზე) — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა - სუბტროპიკული განხრით (ქართულ და რუსულ ენებზე). სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა (ქართულ და რუსულ ენებზე) — საშუალო სკოლის ბაზაზე;

III. ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. ვეტერინარია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე. სწავლა იწყრმოებს სომხურ ენაზე;

IV. ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

V. ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, საბუღალტრო —არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. ბალნეოლოგია, მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, საბუღალტრო-საშუალო სკოლის ბაზაზე;

VI. ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

დღის სწავლებაზე: 1. აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით. საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XII. ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა— არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XIII. ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით. საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

დაუსწრებელ სწავლებაზე: 1. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის

VII. ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით (აზერბაიჯანულ ენაზე), საბუღალტრო —არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით. საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

VIII. გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

IX. გორგარეჯეოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. აგრონომიული, საბუღალტრო—არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

X. გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. კომბინირებული საკვების წარმოების ტექნოლოგია, მეხილეობა-მებოსტნეობა, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. კომბინირებული საკვების წარმოების ტექნოლოგია. ხილბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგია, მეხილეობა-მებოსტნეობა, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XI. დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგია, გამწვანება, მეხილეობა-მებოსტნეობა, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო-საშუალო სკოლის ბაზაზე;

XII. ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

დღის სწავლებაზე: 1. აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით. საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XIII. ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის

XIV. ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XV. თელავის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმში:

1. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XVI. კულაშის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში:

1. ზოოტექნია, ვეტერინარია, მეფრინველეობა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. ზოოტექნია, ვეტერინარია, მეფრინველეობა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XVII. ლაითურის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2, მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით. სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XVIII. ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XIX. მარტყოფის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმში:

1. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, 2. მოწყალმოწყობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XX. ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XXI. ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. ვეტერინარია, მეფრინველეობა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XXII. წალკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. ვეტერინარია. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე, ყველა სპეციალობებზე სწავლა სწარმოებს რუსულ ენაზე;

XXIII. წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. მეხილეობა-მებოსტნეობა, ზოოტექნია, ვეტერინარია, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

XXIV. წნორის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში:

1. ზოოტექნია, ვეტერინარია, მეფრინველეობა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. ზოოტექნია, ვეტერინარია— საშუალო სკოლის ბაზაზე;

XXV. წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმში:

1.სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია— საშუალო სკოლის ბაზაზე;

XXVI. ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; 2. აგრონომია — საშუალო სკოლის ბაზაზე;

ტექნიკუმებში დღის განყოფილებებზე მიიღებიან ორივე სქესის 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე — განსაზღვრულად ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული ან სრული საშუალო სკოლა ან მათთან გათანაბრებული სასწავლებლები და წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს.

განცხადებები დღის სწავლების ყველა სპეციალობასა და დაუსწრებელი სწავლების საბუღალტრო სპეციალობაზე მიიღება 10 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 10-დან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა იწარმოებს 21-დან 25 აგვისტომდე.

დაუსწრებელი სწავლების მეხილეობა - მებოსტნეობა-მევენახეობის სპეციალობაზე განცხადებები მიიღება 2 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდი. მისაღები გამოცდები 1 დეკემბრიდან.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება, ტექნიკუმის დირექტორის სახელზე; განათლების მოწმობა (დედანი) საშუალო, რვაწლიანი სკოლის ან მასთან გათანაბრებული სასწავლებლის დამთავრების, მე-9, მე-10 კლასში გადასვლის შესახებ; ავტობიოგრაფია; სამედიცინო ცნობა ფორმა № 286; (ოთხი ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ. ამონწერი შრომის (კოლმეურნის) წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ხელმძღვანელის მიერ (იმ პირთათვის, ვისაც 2 წელი და მეტი მუშაობის სტაჟი აქვთ).

მისაღები გამოცდებს აბარებენ: არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე ყველა სპეციალობაში შემდეგ საგნებში: მშობლიურ ენაში (წერა კარნახით), მათემატიკაში (ზეპირი).

საშუალო სკოლის ბაზაზე შემდეგ საგნებში: ა) საბუღალტრო, საგემო, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, მეცხოველეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სპეციალობებზე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), მათემატიკაში (ზეპირი); **ბ) საქმის წარმოების ორგანიზაციის სპეციალობაზე — მშობლიურ ენასა** და ლიტერატურაში (თხზულება), ისტორიაში — (ზეპირი); **გ. ყველა დანარჩენ სპეციალობებზე — მშობლიურ ენასა** და ლიტერატურაში (თხზულება). ქიმიაში (ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები. რომლებიც დაჯილდოვდნენ ქების სიგელით; საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები; საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების წარჩინებით კურსდამთავრებულები.

ის პირები, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოვდნენ ქების სიგელებით „განსაკუთრებული წარმატებებისათვის ცალკეული საგნების შესწავლაში“, თავისუფლდებიან მისაღები გამოცდებისაგან იმ საგანში, რომელშიც მიღებული აქვთ სიგელი თუ ამ საგანში დადგენილია მისაღები გამოცდა.

უკონკურსოდ ჩაირიცხებიან სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან სასწავლებლად გამოგზავნილი ახალგაზრდები, აგრეთვე 2 წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები. ჩარიცხვა იწარმოებს საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების წესების თანახმად. ტექნიკუმში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია და ბინა საერთო წესით.

სწავლა დაიწყება: დღის სწავლების ყველა სპეციალობაზე და დაუსწრებელი სწავლების საბუღალტრო სპეციალობაზე — 1 სექტემბერს; დაუსწრებელი სწავლების მეხილეობა-მებოსტნეობა -მევენახეობის სპეციალობაზე — 1 ივნვარს.

საქმისწარმოების ერთიანი სახელმწიფო სისტემის ძირითადი დებულებების დანერგვის საქმეში სამინისტროებისა და უწყებებისათვის მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოსთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია ავტომატიზაციისა-მეთოდური პუნქტი, რომელიც სამინისტროებისა და საარქივო სამსახურის მუშაკებს სისტემატურად ჩაუტარებს მეცადინეობებს. მეცადინეობების ჩასატარებლად გამოყოფილი არაან კვალიფიცირებული სპეციალისტები.

განცხადები მიიღება საქართველოს სსრ მთავარარქივის სახელზე მეცადინეობის ჩატარებამდე 10 დღით ადრე.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. № 1 ტელ. 37-28-02, 37-39-25, 37-28-04.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

რესპუბლიკის ტყეებში დადგა ხანძარსაშიში პერიოდი. მეცირე გაუფრთხილებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ტყის ხანძარი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი გთხოვთ ტყეში ყოფნისას იყოთ ფრთხილნი, ზუსტად დაიცვათ სახანძრო უშიშროების წესები, ნუ გადაგდებთ ჩაუმქრალ ასანთს და პაპიროსის ნამწვავს, ნუ დატოვებთ ჩაუმქრალ კოცონს, ნუ გამოიყენებთ ადვილად აალებად ხანძარსაშიშ ნივთიერებებს და ტყეებში ნუ იყენთ ავტომანქანით. რომელსაც მოუწესრიგებელი აქვს კვეთის სისტემა.

ტყეში ხანძრის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩააქრეთ იგი, ხოლო თუ ხანძარი დიდია და ძის ჩაქრობას თქვენ ვერ შეძლებთ. სასწრაფოდ შეატყობინეთ ტყის ოცავს მუშაკებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს, ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს.

ტყე საერთო სახალხო სიმდიდრეა და მისი ხანძრისაგან დაცვა ყველა მოქალაქის ვალია.

თბილისის შ. ელიავას სახ. რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმი 1975-76 სასწავლო წლისათვის

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

ქართული სექტორის I კურსზე

1. „ავტომატიკა და ტელემექანიკა რკინიგზის ტრანსპორტზე“.

რუსული სექტორის I კურსზე.

1. „რკინიგზის ექსპლოატაცია“.
2. „რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრომომარაგება და ელექტროტექნიკა“.
3. „რკინიგზის ტრანსპორტის სალიანდაგო მეურნეობის ექსპლოატაცია და მშენებლობა“.

ქართული სექტორის II კურსზე.

1. „რკინიგზის ელექტროწყვის მეურნეობა (საელმავლო),
2. „რკინიგზის ექსპლოატაცია“.

რუსული სექტორის II კურსზე.

1. „რკინიგზის ტრანსპორტის სალიანდაგო მეურნეობის ძმენებლობა და ექსპლოატაცია“.
2. „ავტომატიკა და ტელემექანიკა რკინიგზის ტრანსპორტზე“.

ტექნიკუმს აქვს დაუსწრებელი განყოფილებაც, რომელიც ამზადებს ტექნიკოსებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ და დამატებით საბუღალტრო აღგარიშის სპეციალობით. დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან ის პირები, რომლებიც მუშაობენ არჩეული სპეციალობით.

ტექნიკუმში მიიღებიან:

I კურსზე — არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, **II კურსზე** — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

განცხადებების მიღება წარმოებს I კურსზე შემსვლელთათვის 31 ივლისამდე, II კურსზე შემსვლელთათვის —15 აგვისტომდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი საბუთები: ა) მოწმობა არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი)—პირველ კურსზე შემსვლელთათვის, სამეალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი) — მეორე კურსზე შემსვლელთათვის. ბ) ოთხი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ. ზომა — 3X4 სანტიმეტრი; გ) ის პირნი, რომელთაც პრაქტიკული მუშაობის საწარმოო სტაჟი აქვთ, წარადგენენ შრომის წიგნაკიდან ამონაწერს. შემოწმებულს ოკომეურნეობის მიერ, დ) სამხედრო ბილეთი ან მოწერილობის მოწმობა წარედგინება პირადად. ე) საექიმო ცნობა № 286.

ტექნიკუმში შემსვლელები ამბარებენ გამოცდებს **შემდეგ საგნებში:**

I კურსი. 1. მშობლიური ენა (წერა-კარნახი), 2. მათემატიკა ზეპირი.

II კურსი 1. მათემატიკა ზეპირი, 2. ქართული ენა და ლიტერატურა წერა (თხზულება).

მისაღები გამოცდები იწარმოების 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე

განცხადებები მიიღება მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 138.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაძლებლობის ფარგლებში.

ტექნიკუმის ადმინისტრაცია

თბილისის კავშირგაბმულობის რადიოელექტროტექნიკური ტექნიკუმი

აცხადებს 1975-76 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას

ა). დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

მეორე კურსი:

1. სატელევიზიო ტექნიკა და რადიოსარეალეო კავშირი; 2. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა; 3. მრავალარხიანი ელექტროკავშირი; 4. ავტომატური ელექტროკავშირი; 5. საფოსტო კავშირი.

ბ). დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

მესამე კურსი:

1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა; 2. საფოსტო კავშირი; 3. მრავალარხიანი ელექტროკავშირი.

ტექნიკუმში მიიღებიან მოქალაქენი დღის განყოფილებაზე 30 წლის ასაკამდე, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე — ასაკის განუსაზღვრელად.

ტექნიკუმში ჩარიცხებიან:

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება); 2. მათემატიკაში (ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან:

ა). საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი; ბ). სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დათხოვნილი ოფიცრები და ზესამსახურის სამხედრო პირები.

მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგად კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან:

ა). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის № 1099 დადგენილების შესაბამისად წარმოებიდან მოვლინებული პირები; ბ). საბჭოთა არმიიდან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დემობილიზებულები და ორი წლისა და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები.

კონკურსით შერჩევისას მხედველობაში იქნება მიღებული, როგორც ბალი, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე — ასაკის განსაზღვრელად.

ტექნიკუმში ჩარიცხებიან:

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხ